

სპექტრით მნიშვნელოვანწილად დაკავშირებული იყო 1907 წელს ექვთიმე თაყაიშვილის მიერ დაჟასებულ ”საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებასთან”. შეიძლება თამად ითქვას რომ აღნიშნული საზოგადოება, მასთან არსებული მუზეუმით გახდა ის ნიმუში, რომის ქარგაზეც აეწყო ”ქართველ ხელოვანთა საზოგადოების” მოღვაწეობა კულტურის ძეგლთა დაცვის ასპექტით. ორივე საზოგადოება, რომელთა მესვეურებსაც ექვთიმე თაყაიშვილის და დომიტრი შევარდნაძის პირადი ურთიერთობის საუკეთესო ჭრადიციები აკავშირებდა, ურიკერთშეთანხმებულად მოქმედებდა. განსაკუთრებით ეს შეეხება ისტორიულ ძეგლთა დაცვის მიზით მოწყობილ ერთობლივ სამეცნიერო - სამხატვრო ექსპედიციებს და მათ შედეგად მოწყობილ აბან ტანახაშვილის შემთხვევაში.⁶

’ქართველ ხელოვანთა საზოგადოების” მოღვაწეობის პირველ ეტაპზე, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წინა წლებში, აღნიშნული ორგანიზაციული გაერთიანების შესახებ არსებულ საზოგადოებრივ აზრს შესანიშნავად ახასიათებს ივანე ჯავახიშვილის მიმრევა ”ქართველ ხელოვანთა საზოგადოებისადმი”, რომელშიც დიდი მეცნიერი აღნიშნავს ”..” ქართველ ხელოვანთა საზოგადოების” გამგეობამ და ქართველმა მხატვრებმა საქართველოს სასულიონო საზოგადოების გამგეობასთან ერთად დიდი და საშვილიშვილო საქმე დაიწყეს მით, რომ ქართული ძველი მხატვრობის გადარჩენა იკისრეს... სასიამოვნოა, რომ ქართულ საზოგადოებას ასეთი მხნე და საქმის გულწრფელი მოტრფიალე, შეგნებული ხელოვანნი ჰყავს. ეს კარემოება ნათლად გვიმტკიცებს, რომ თუ ჩვენ ხელი შევუწყვეთ, ქართული ძეგლის კედლის - მარტვრობის გადმოღება-გადმოხატვას მარტვილებით და ამით მაინც ქართულ მეცნიერებასა და არელოვნებას ფასდაუდებელ განძს შევუნახავთ. ქართველმა საზოგადოებამ უნდა ისეთი იშვიათი დაკარგი შემთხვევით ისარგებლოს და ყოველი ლონე იხმაროს, რომ აღნიშნულ პირთა მუშაობა და ასე ჩინებულად დაწყებული საშვილიშვილო საქმე შეუფერხებლად მიმდინარეობდეს”.⁷ შესაძლოა, დიდი მეცნიერის მიერ ახალბედა საზოგადოების სამოღვაწეო ასპარეზის დალოცვა გადას საბაბი იმისა, რომ ”ქართველ ხელოვანთა საზოგადოებას” საწყის ეტაპზე ქართული პეიიდული პრესის კეთილგანწყობა და ყურადღება არ მოჰკლებია. ასე, მაგალითად გაზეთი ”თნამედროვე აზრის” კორესპონდენტი იუწყებოდა, ”დღეს შუადღეს თორმეტ საათზე, ქართველ ხელოვანთა საზოგადოების სასარგებლოდ პროფესორი ივანე ჯავახიშვილი წაიკითხავს ლექციას ხელოვნების ისტორიიდან. ხელოვანთა საზოგადოება სულ ერთი თვე იქნება, რაც მოქმედებს და